საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/54

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბიალისტოკის უნივერსიტეტში ბსუ-ს აკადემიურის პერსონალის გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2022 წლის 23 თებერვლის MES 5 22 0000184661 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბიალისტოკის უნივერსიტეტში (პოლონეთი) ბსუ-ს სამართლის მიმართულების აკადემიური პერსონალის (1) შერჩევისათვის განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2022 წლის 23 თებერვლიდან 12 მარტის 18:00 საათამდე (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლათფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge.
ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 15 მარტი.
გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 16 მარტი, გასაუბრების ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე.
დ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 17 მარტი.

2. დამტკიცდეს კომისიის ძირითადი შემადგენლობა:
ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);
ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);
გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

ზ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3. აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**